№24

ხელშეკრულება N 35

ქ. თბილისი

დასაწყისი 01.09.2011წ.
დასასრული 01.09.2012წ

ერთი მხრივ, ქ. თბილისი 94-ე საჯარო სკოლა და მისი დირექტორის მარინა ჩაგანავას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „სანტექ. ჯგუფი" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორის მიხეილ თათარაძე-ს სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 94-ე საჯარო სკოლის შენობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელზე საავარიო მომსახურება

1.2 ხელშეკრულების საფუძველზე 94-ე საჯარო სკოლა ირიცხება შ.პ.ს „სანტექ. ჯგუფის" აბონენტად.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 960 (ცხრაასსამოცი) ლარი.

2.3 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს კუთვნილი სადაზღვეო მომსახურების გაწევა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევის ვადა განისაზღვრება 2011 წლის 01 სექტემბრიდან 2012 წლის 01 სეტქემბრამდე.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვეო მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №15ა, 94-ე საჯარო სკოლის შენობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

5.2 ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება ყოველი თვის 30 რიცხვამდე ყოველთვიურად 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულებისანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღდგენა.
- დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებიტი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებასთან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „დამკვეთს" შეუწყდება მომსახურება.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011წ 01 სექტემბრიდან 2012წ 01 სექტემბრამდე

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობები

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„დამკვეთი"

ქ. თბილისი, 94-ე საჯარო სკოლა. ჭიჭინაძის ქ. №15ა. ს/კ 208111130 "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილ. ისნის განყოფილება
ბ/კ 220101615, ა/ა 76883608 8599-111-518

დირექტორი

/მ. ჩაგანავა/ _____

„შემსრულებელი"

შ.პ.ს. "სანტექჯეფი" მის.: ჩიქობავას ქ. №39, ს/კ 204576654
თი ბი სი ბანკი მარჯანიშვილის ფილ. ა/ა GE59TB1190936020100010 ბ/კ 220101850
ტ. 245 02 10, 245-45-46 579 76 72 78

დირექტორი

/მ. თათარაძე/